



# Military Booty as a Source of Property Rights in Ancient Georgian Law

Ana Tsignadze

*PhD student of the TSU Law Faculty, Assistant at TSU Faculty of Law*

---

## ARTICLE INFO

---

### *Article History:*

Received 10.06.2022  
Accepted 24.06.2022  
Published 30.06.2022

---

### *Keywords:*

Military booty, Acquisition of property rights, Fanjiaki

---

## ABSTRACT

---

Institute of Feudal Property Rights' fundamental research is important for studying the Georgian law institutions of this period. The original means of obtaining property rights, including military trophy, have not yet been well explored. Due to peculiarities of feudal relations, the only thing that always connected the royal government with the fiefs during the period of Georgia's unification or fragmentation into kingdoms was the obligation to military campaigns. Commitments were imposed not only to the secular but also to the ecclesiastical feudal lords. At the same time, depending on the form of military organization, permanent, mercenary or regular troops had different rules for capturing spoils of war and distributing them.

The paper presents the main features of military booty as one of the important sources of acquisition of ownership in the old Georgian law. The paper examines rules for obtaining ownership of enemy property in feudal Georgia, the order of division of seized property between warriors of crusades and other authorized persons, and also examines the factors on which the legality of spoils of war was depended. The paper discusses issues such as: descriptive terms of spoils of war; property obtained by the sword as a indisputable property; Tradition of taking Panjiak – King Panjiak; The amount of the officers' share in the booty, which was allocated either from Panjiaki or from the rest of the property.

# სამხედრო ნადავლი, როგორც საკუთრების უფლების შექმნის წყარო, ძველ ქართულ სამართალში

ანა წიგნაძე

თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ასისტენტი

საკვანძო სიტყვები: სამხედრო ნადავლი, საკუთრების უფლების შექმნა, ალაფი, ნაშობი, ფანჯიაქი

## აბსტრაქტი

ფეოდალური საკუთრების უფლების ინსტიტუტის ფუნდამენტური კვლევა მნიშვნელოვანია ამ პერიოდის ქართული სამართლის ინსტიტუტების შესასწავლად. საკუთრების უფლების შექმნის თავდაპირველი საშუალებები, მათ შორის, სამხედრო ნადავლი, ჯერ კიდევ სათანადოდ არაა გამოკვლეული. ფეოდალური ურთიერთობების თავისებურებიდან გამომდინარე, ერთადერთი, რაც სამეფო ხელისუფლებას ყოველთვის აკავშირებდა საფეოდალოებთან, საქართველოს ერთიანობისა თუ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულობის პერიოდში, იყო სალაშქრო ვალდებულება. ეს ვალდებულება ეკისრებოდათ არა მარტო საერო, არამედ საეკლესიო ფეოდალებსაც. ამავ დროს, სამხედრო ორგანიზაციის ფორმებიდან გამომდინარე, მუდმივ, დაქირავებულ თუ რეგულარულ ჯარებს, ომის ნადავლის აღებისა და მისი განაწილების განსხვავებული წესები ჰქონდათ.

სტატიაში გადმოცემულია სამხედრო ნადავლის, როგორც საკუთრების უფლების შექმნის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი წყაროს ძირითადი თავისებურებები ძველ ქართულ სამართალში. ნაშრომი შეისწავლის ფეოდალურ

საქართველოში მტრის კუთვნილ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების წესებს, მოლაშქრეებსა და სხვა უფლებამოსილ პირებს შორის ნაშობარი ქონების გაყოფის რიგს და, ასევე, იკვლევს რა ფაქტორებზე იყო დამოკიდებული ნადავლის კანონიერება. ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი ტერმინები; ხმლით ნაშობები როგორც მოუდევარი საკუთრება; ფანჯიაქის აღების ტრადიცია – მეფის ფანჯიაქი; ნადავლში მოხელეთა წილის ოდენობა, რომელიც ან ფანჯიაქიდან, ან დარჩენილი ქონებიდან გამოიყოფოდა.

## შესავალი

ბრძოლის ველზე დამარცხებული ან დაღუპული მტრის კუთვნილი ნივთების ხელში ჩაგდება და მითვისება საკუთრების შექმნის კანონიერ გზას წარმოადგენდა. სალაშქრო აღჭურვილობა, ტყვეები, ცხენები, დროშები და სხვა ნივთიერი ფასეულობა, ზოგჯერ მიწებიც, გამარჯვებული სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა. სამხედრო ნადავლის ობიექტი იყო როგორც დამარცხებული შეიარაღებული მტრის, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის ქო-

ნება, თუმცა, გარკვეული შეზღუდვებით. როგორც რომელი იურისტები აღნიშნავენ, „ის, რასაც ჩვენ მტერთაგან ვიტაცებთ... მაშინვე ჩვენი ხდება“<sup>1</sup>, რადგან მოწინააღმდეგის ნივთები უპატრონო, არავის კუთვნილ ნივთებად მიიჩნეოდა და მასზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად მათი ფაქტობრივი მიტაცება, ხელში ჩაგდება იყო საჭირო.<sup>2</sup> თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი. ნადავლზე უფლების მოსაპოვებლად ის დამსაკუთრებლის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო მცირე ხნით მაინც. სწორედ ეს ძირითადი პირობა ახასიათებს სამხედრო ნადავლს, როგორც საკუთრების უფლების მოპოვების საშუალებას.

## სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი ტერმინები

ძველ ქართულ ენაში სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი ტერმინები მრავალგვარია და მათი კვლევა აუცილებელია. მათ შორის, ყველაზე გავრცელებული იყო ალაფი, ავარი (იავარი), ნაშობები, ნატყვენავი, ნარბევი, ნაძარცვი, დავლა და ა.შ. ტერმინთა უმრავლესობა გამოიყენებოდა მხოლოდ მტრისგან მიტაცებული მოძრავი ქონების აღმნიშვნელ სიტყვად. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ლაშქრობის მიზანს, ძირითადად, მტრის ჯარის დამარცხება და ალაფის აღება წარმოადგენდა და არა მოწინააღმდეგის კუთვნილი მიწების დაკავება.

**ალაფი.** სამხედრო ნადავლის, როგორც

ომითა და რბევით მოპოვებული<sup>3</sup>, ნაძარცვი<sup>4</sup> ქონების აღმნიშვნელი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ტერმინია ალაფი.<sup>5</sup> ქართულ სალიტერატურო ენაში „ალაფი“ ომონიმური სიტყვაა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ალაფი არის „საფენელი“<sup>6</sup> და ჭურჭელი ნატყვენავი.<sup>7</sup> ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონით, ალაფს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1) „ნაშოვარი საქონელი ჟამსა ბრძოლისასა“ და 2) „მეფქვილე, ფქვილის მოფარდული, Ἀλεφαჯ“.<sup>8</sup> ასევე ის განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: 1) [არაბ.] 1. საქონლის საკვები, ფურაჟი, 2. მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარი; 2) (ძვ.) იგივეა, რაც ნადავლი.<sup>9</sup>

მ. ანდრონიკაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ტერმინი „ალაფი“ ფონეტიკური ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე, უკავშირდება თურქულ ზმნას almak – „დაპყრობა, წართმევა“ და მისგან ნაწარმოებ სიტყვას – alpay (დამპყრობელი). ამავე ზმნიდანაა ნაწარმოები

1 გაიუსის ინსტიტუციები, სურგულაძე ნ. (მთარგ.), (2011). რომის სამართლის ძეგლები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 70; იუსტინიანეს ინსტიტუციები, სურგულაძე ნ. (მთარგ.), (2002). რომის სამართლის ძეგლები. თბილისი: მერიდიანი, 56. გაიუსს ნადავლზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძვლად ბუნებითი სამართალი მიაჩნია, იუსტინიანეს ინსტიტუციები კი ასეთად ხალხთა სამართალს მიიჩნევს.

2 ამ გზით საკუთრების უფლების მოპოვებას რომაელები უწოდებდნენ Occupatio-ს. ის საკუთრების უფლების თავდაპირველი გზით შექმნის მთავარ საშუალებად მიიჩნეოდა. Бартошек, М., (1989). Римское право, понятия, термины, определения. Москва: Юридическая литература, 231.

3 ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მემატიანე), (1954). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. თბილისი: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, 363.

4 აბულაძე, ი., (1973). „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ (მასალები). თბილისი: მეცნიერება.

5 ძველ ქართულ ენაში ლაშქრობისა და ალაფობის აღმნიშვნელი არაძირითადი ტერმინები და მათგან ნაწარმოები სინონიმური ხასიათის სიტყვები საკმაოდ ბევრია, ამიტომ ყველას განხილვა არამიზანშეწონილად მივიჩნევთ.

6 საფენელის განმარტებას სულხან-საბაარაკეთებს. ეს სიტყვა გვხვდება ბასილ ეზოსმოძღვრის ნაშრომში „ცხოვრებად მეფეთ-მეფისა თამარისი“: „ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემებისა სიმრავლე და კარავთა და საფენელთა ურიცხუება, რომელ დაყარეს“. როგორც ჩანს, ის გამოიყენებოდა დასაფენის, ქვეშაგების მნიშვნელობით. ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი, 505.

7 სულხან-საბა ორბელიანი, (1949). სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი. ს. იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 23.

8 ჩუბინაშვილი ნ., (1962). ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაგან სულხან-საბა ორბელიანისა.

9 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ჩიქობავა ა. (რედ.), (1986). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ერთტომეული, 23.

სიტყვა *alap* – „ჩანთა, კალათა, ის, რითაც რაიმე მიაქვთ, ასაღები, წასაღები“.<sup>10</sup>

ალაფი მხოლოდ მოძრავი ნივთების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. შესაბამისად, ალაფობაც ომის ნადავლის მიტაცებას გულისხმობს. მაგალითად, ვეფხისტყაოსანში თინათინის გამეფების შემდეგ მისი ბრძანებით გახსნეს საჭურჭლენი, სადაც ლაშქარი „ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა ვითა ნათურქალსა“. „ალაფობდეს“ აქ მიშნავს მითვისებას, მოხვეჭას. ჯარი ნივთებს ისე იტაცებდა, თითქოს ის არა მეფის, არამედ დამარცხებული თურქებისთვის წართმეული ნადავლია.<sup>11</sup>

ალაფობას ჯარი თვითნებურად არ იწყებდა. ამას მეფის ან სარდლის ბრძანება სჭირდებოდა. მაგალითად, ჯუანშერის გადმოცემით, სპარსთა დამარცხების შემდეგ ვახტანგის გუნდი გავიდა ალაფობად, „მეფე ვახტანგ აყენებდა მიძულებად სპათა-მათ მეალაფეთა“.<sup>12</sup> როდესაც ისტორიკოსი წერს, რომ გუნდი გავიდა ალაფობად, უნდა გულისხმობდეს არა მთლიანად ჯარს, არამედ მის ნაწილს, რომლებსაც მეალაფეებს უწოდებს.

**ნატყვენავი.** ქართულ წარსულში წყაროები ომის ნადავლის აღსანიშნავად ხშირად იყენებს „ნატყვენავს“. სულხან-საბა მას განმარტავს როგორც „ფორიაქ ქმნილს“,<sup>13</sup> ნაფორიაქალი კი „ნატაცებია“.<sup>14</sup> ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით, ნატყვენავი არის ნაშოვარი, ალაფი,<sup>15</sup> ტყვენვა – აფორიაქება, წარტყვენვა,<sup>16</sup> წარტყვენვა – (წარვსტყვენავ) სრულიად

დატყვენვა, იავარქმნა.<sup>17</sup> ი. აბულაძის ძველი ალექსის აპოკრიფების ქართული ვერსიებისადმი თანდართულ ლექსიკონში ნატყვენავს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ალაფი; 2. ტყვედ მყოფი: „იგი უცხოქმნულნი გარეხადნეს სიმრავლესა მას ერისა მის ნატყვენავისასა“.<sup>18</sup>

„ტყუენვა“ ალაფობის აღმნიშვნელ ტერმინად, ხოლო „ნატყვენავი“ უმეტესად ნაალაფარი ნივთების ერთობლიობაზე ხაზგასმის მიზნით გამოიყენება. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგმა ბაყათარის და ოსთა ლაშქრის დამარცხების შემდეგ, სამი დღე შეისვენა და შემდეგ გავიდა „ტყუენვად ოვსეთისა: შემუსრნეს ქალაქნი მათნი და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ“.<sup>19</sup> მათიანე ქართლისაის ავტორიც, ალაფის შემადგენლობას ამ ფორმულით გამოხატავს: ბაგრატ მეფემ მოაოხრა განძა და „აღილო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ“ და გაგზავნა თავის სამეფოში.<sup>20</sup> აქ ნადავლში შედის როგორც შინაური პირუტყვი, ასევე ძვირფასეულობა და სამოსი.

ლეონტი მროველი აღწერს ქართლის მეფეთა, აზორკისა და არმაზელის ლაშქრობას სომხეთში და მათ მიერ სომხეთის ნაწილის აოხრებას: მათ „ნატყუენეს დაშტი ვიდრე ნახიჭევანამდე, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ, და აღივსნეს ყოვლითავე ხუასტაგითა“.<sup>21</sup> ნატყუენავი სომხითით იყო: „პირუტყვ, ოქრო და ვეცხლი და ნაქსოვი“.<sup>22</sup>

ალაფობისას ტყვე და ნატყვენავი წყაროებში თითქმის ყოველთვის ერთად იხსენიება, როგორც ომში დანარჩუნებულის შემადგენელი ორი განსხვავებული სახის ნადავლი, სადაც ნატყვენავი ყველანაირი მოძრავი ნივთის აღმნიშვნელი სიტყვაა. თუმცა, იშვიათად შემთხვევებში, ეს ტერმინი მხოლოდ ტყვეებსა და თვითძვრად ნივთებს მიემართებოდა. მაგალითად, ჯუანშერის გადმოცემით,

10 ანდრონიკაშვილი მ., (1965). არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105, 310. იხ. ციტირება: Zenker G. Th., (1866). Dictionnaire turc-arabe-persane. Leipzig, 84.

11 ჯანაშვილი მ., (1910). ჩემი შენიშვნები რუსთაველის გარშემო, აღწერა, ტექსტები, ლექსიკონი, ელექტ. მბეჭდ. ს. მ. ლოსაბერიძისა. ტფილისი: XXIV, 12.

12 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი, 186.

13 სულხან-საბა ორბელიანი, (1949). სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი. ს. იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 254.

14 იქვე.

15 ჩუბინაშვილი ნ., (1962). ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაგებ სულხან-საბა ორბელიანისა.

16 იქვე.

17 იქვე.

18 აბულაძე, ი., (1970). ძველი ალექსის აპოკრიფების ქართული ვერსიები. თბილისი: მეცნიერება, I, 454. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი, 169.

19 მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი, 169.

20 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი, 59.

22 იქვე.



ვახტანგმა თავის ბიძის, ვარაზ-ბაკურისთვის გასცა ნატყვენავი: „მონაჲ – ათასი, ცხენი საჯუ-დარი – ათასი, ჯდალი ცხენი – ათასი“.<sup>23</sup>

ძველი ერისთავთა<sup>24</sup> ტექსტის შემდეგ წინა-დადებაშიც ნატყვენავს კონკრეტულად ტყვედ წასხმულთა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს: ერისთავ ვირშელის ლაშქარმა მოაოხრა თლე და წერლუ და „ყოვლითა ალაფითა და ნატყუ-ენვითა“ დაბრუნდა გამარჯვებული. ალაფი და ნატყვენავი ცალ-ცალკეა დასახელებული, ხოლო ტექსტიდან ამჟღავნა, რომ ნატყვენავი აქ მხოლოდ ტყვეებს აღნიშნავს. ამავე ძველში ნახსენებია, რომ თემურმა საქართველოს მო-ოხრებისა და „ტყუენის“ შემდეგ ტყუე და ალა-ფი სამარყანდს გააგზავნა.<sup>25</sup> აქაც ნატყვენავში ტყვე და ალაფი იგულისხმება.

**ავარი.** ავარი, იავარი ასევე გამოი-ყენებოდა ომის ნადავლის სინონიმად.<sup>26</sup> „ია-ვარი – ალაფი, ნაშოვარი, ნაფორიაქალი (იე-რემ. 17,3)“,<sup>27</sup> იავარ-ყოფა – აკლება, გაძარცვა. მაგალითად, „იავარ-ყვეს მონაგები მათი“.<sup>28</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტერმინი უკავშირდება ხუნძახის სახანოსა და მისი მოსახლეობის სახელწოდებას – ავარი, თუ-მცა მე-20 საუკუნემდე ხუნძახის ხალხის გავ-რცელებული ენდოეთნომი მაარულალი იყო. საკვლევი ტერმინი კი ქართულ წერილობით წყაროებში X საუკუნიდან მაინც გამოიყენება.

23 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მეტიდიანი, არტანუჯი, 171.

24 „ძველი ერისთავთა“ შეიცავს XIII-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ ძალიან საინტერესო ცნობებს, ხოლო ქართლის მთიანეთის სამხედრო ისტორიის შესასწავლად ამ ძველის მნიშვნელობა სხვა წყაროებთან შედარებით, განუზომელია, ანჩაბაძე, გ., (2010). საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე). თბილისი: ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი, 93.

25 ძველი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II, 115.

26 ნეიშანი ა., (1978). ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 559.

27 ჩუბინაშვილი ნ., (1962). ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაგებ სულხან-საბა ორბელიანისა.

28 აბულაძე, ი., (1970). ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით. თბილისი: მეცნიერება, I, ეზრა თ, 4, მეცნიერება, 439.

ამიტომ ეს შეხედულება უარყოფილია.<sup>29</sup> ასევე დადგენილია, რომ „ავარი“ არც VI-IX საუკუნე-ების მომთაბარე თურქულენოვან ხალხს ავა-რებს უკავშირდება.<sup>30</sup>

ციალა ქურციკიძემ ეზრა სუთიელის წიგ-ნის ძველ რედაქციაში ყურადღება მიაქცია სიტყვას – იაჰრაავი. ეზრას უფალი ეკითხება: „განწონე შენ, რომელი უპატიოსნეს და სანა-დელ არს? უმრავლესი, იგი, ანუ რომელი იაჰ-რავად იპოვების?“ – V, 35 ლბ. კონტექსტით და სომხური და ეთიოპური მოკლე რედაქციის თარგმანის შესატყვისითაც „იაჰრაავად“ ნიშ-ნავს ძნელად მოსაპოვებელს, რაც იავარის მნიშვნელობას უახლოვდება. ეს სიტყვა სხვა ქართულ წყაროებში აღარ იძებნება.<sup>31</sup> ამი-ტომ, შესაძლოა, საკვლევი ტერმინის წარმო-შობა უკავშირდებოდეს ქართული ენის მახა-სიათებელს – სიტყვის მარცვალში ისტორიულ ბგერათმონაცვლეობას. თუმცა, ნაკლებ სავა-რაუდოა, რომ „იაჰრაავმა“ ძველ ქართულ სა-ლიტერატურო ენაში ფონეტიკური ცვლილება განიცადა და იავარის სახით დამკვიდრდა. უფრო სარწმუნოა, რომ ეს ტერმინი ქართულ ენაში შემოსულია ძველი სომხურიდან: Ավար (ავარ) – ალაფი, ნადავლი, ნატყვენავი, იავა-რი.<sup>32</sup>

ნარატიულ წყაროებში „ავარის“ გამო-ყენების კონტექსტი აჩვენებს, რომ ის მხო-ლოდ ისეთი ნაალაფარი მოძრავი ქონებას გამომხატველია, რომელიც განსაკუთრებულ ძვირფასეულობად არ მიიჩნეოდა. მაგალი-თად, დავით აღმაშენებლის ანდერძში, მის გა-ნკარგულებას თვალ-მარგალიტისა და ბრო-ლის საგნების გამოყენების შესახებ მოსდევს შემდეგი წინადადება: „სხუაი ქურჭელი, იავარი სპარსთაი, რომელი არსენისდა იოვანესდა მი-მითუალავს, იგი მისსა ჟამსა ჩემსა მონაბატერ-სა გაგზავნოს ძემან ჩემმან დემეტრემ“.<sup>33</sup>

29 თოფჩიშვილი, რ., (2007). კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბილისი: უნივერსალი, 86.

30 იქვე.

31 ქურციკიძე, ც., (1971). ეზრას აპოკალიფსისის ქარ-თული რედაქციები, მრავალთავი, ფილოლოგი-ურ-ისტორიული ძიებანი. თბილისი: მეცნიერება, 95. შდრ. Шавров М., (1861). О третьей книге Эздры (опыт исследования о книгах апокрифических). Санкт-Петербург, 56.

32 მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1996). სომხურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: ნეკერი.

33 სილოგავა ვ., (1981). დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123-1124 წწ.).

ხშირად ავარი შეპირისპირებულია გა-  
ნდთან, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ ავა-  
რი ისეთი ქონებაა, რომელსაც განსაკუთრე-  
ბული ღირებულება არ გააჩნია. მაგალითად,  
„წარიღეს ბერძენთა ავარი დიდძალი და გა-  
ნდი სამეფო სრულიად, რომელი აქუნდა“<sup>34</sup> ან  
კიდევ, „მიუხდეს ესე ყოველნი ეკლესს, ფა-  
დლონს ზედა, გააქციეს ფადლონ და აუნყვი-  
დეს ლაშქარნი, აიღეს ავარი და განდი ური-  
ცხვი“<sup>35</sup>

**განდი.** ტერმინი „განდი“<sup>36</sup> სომხური წარ-  
მომავლობისაა და ნიშნავს საუნჯეს.<sup>37</sup> ეს სი-  
ტყვა ძველ ქართულ ენაში მხოლოდ მისი  
დღევანდელი მნიშვნელობით არ გამოიყენე-  
ბოდა, ანუ როგორც ისეთ ნივთთა ერთობლი-  
ობა, რომელიც იმდენი ხნის განმავლობაშია  
დაფლული მიწაში, რომ მისი თავდაპირველი  
მესაკუთრისა თუ მფლობელის დადგენა შე-  
უძლებელია. ამ შინაარსით ის უახლოვდება  
სიტყვას „ნამარხევი“.<sup>38</sup> „განდი“ ყოველგვარ  
ძვირფას ნივთს, სიმდიდრეს, ქონებას აღ-  
ნიშნავდა. ამ სიტყვას უკავშირდება ტერმინი  
„განძარცვა“, თავდასხმით, ძალადობით რა-  
იმეს წართმევა.<sup>39</sup> ხევსურულ ზეპირსიტყვი-

რებაში „განდი“ იმ სარიტუალო ნივთებისა და  
ვერცხლის ჭურჭლეულობის გამომხატველი  
სახელია, რომელიც ხატისადმია შეწირული.<sup>40</sup>

ნარატიულ წყაროებში „განდი“, ხშირ შემ-  
თხვევაში, სამხედრო ნადავლის შემადგენელი  
ნაწილის გამომხატველი ტერმინია. როგო-  
რც აღინიშნა, ის ზოგჯერ ავარის საპირისპი-  
რო მნიშვნელობის სიტყვად გამოიყენება და  
მასთან ერთად მოძრავ უსულო ალაფს შეა-  
დგენს. თუმცა, წყაროებში მას უსულო ნივთე-  
ბისგან შემდგარი ერთიანი ალაფის მნიშვნე-  
ლობაც აქვს. მაგ., მემათიანე წერს, „... შევიდეს  
თურქნი ქალაქად და ტყუე ყვნეს ურიცხვი სუ-  
ლნი ქრისტიანეთა. და აღიღეს განდი და ტყუე  
ძლიერი, და შეიღება წყალი ახალ-ქალაქისა  
სისხლითა“<sup>41</sup> აქ განძს ყველანაირი ალაფის  
მნიშვნელობა აქვს, გარდა ტყვეებისა. იგი-  
ვე შინაარსი აქვს „განძს“ ჟამთააღმწერლის  
ამ წინადადებაში: დემეტრე მეფის ლაშქარმა  
დარუბანდში აიღეს ციხე, „და თავადნი მათნი  
დაჰოცეს, და წარმოიღეს ტყვე, და განდი და  
დედა-წული ურიცხვი“.<sup>42</sup>

**დავლა.** მ. ანდრონიკაშვილის განმარ-  
ტებით, დავლა (დავლათიანი, სვე და დავლა)  
სპარსული წარმომავლობის სიტყვაა (doulā),  
რომელმაც ფონეტიკური დიფერენციაცია  
განიცადა სემანტიკური ნიუანსების გადმო-  
საცემად: დავლა – დავლათი – დოვლათი.<sup>43</sup>  
ვეფხისტყაოსანში „დავლა“ იგივე მნიშვნე-  
ლობითაა გამოყენებული – დიდება, ძლიერე-  
ბა, შეძლება, ხელმწიფობა; დავლამრავალი  
– შეძლებით სავსე.<sup>44</sup>

- „თავყანის-ვეც და დავლოცენ დავლანი  
მათთა სვეთანი.“ (487)
- „თქვენვე გნახე მხიარული დიდებით და  
დავლა-მრავლად“. (796)

მრავალთავი: ფილოსოფიურ-ისტორიული  
ძიებანი, ტ. 9, 97.

34 სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრა-  
ტონიანთა, ქართული საისტორიო მწერლობის  
ძეგლები, (1990). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,  
გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო  
გ. არახაშიამ. თბილისი: მეცნიერება, VIII, 56.

35 მათიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება.  
მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი:  
მერიდიანი, არტანუჯი, 281.

36 ტერმინ „განძის“ როგორც საკუთრების უფლების  
შეძენის მნიშვნელობა საფუძვლიანად აქვს გა-  
ნხილული ვ. ლომიძეს თავის სადისერტაციო ნაშ-  
როში, ამიტომ ამ საკითხს დაწვრილებით აღარ  
განვიხილავთ. ლომიძე, ვ., საკუთრების უფლების  
შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (გან-  
ძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004,  
25-27. იხილეთ: [https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;\\_special=1;detail\\_record\\_view=0;qttype=item\\_barcode;query=900001466257;log=1](https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;_special=1;detail_record_view=0;qttype=item_barcode;query=900001466257;log=1) [ბოლო წვდომა 17.05.2022]

37 მელიქსეთ-ბეგი, ლ., (1996). სომხურ-ქართული  
ლექსიკონი გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცე-  
მად მოამზადა მ. რობაქიძემ. თბილისი: ნეკერი,  
1996.

38 აბულაძე ი., (1973). ძველი ქართული ენის ლექსი-  
კონი (მასალები). თბილისი: მეცნიერება.

39 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ა. ჩი-  
ქლაძე (რედ.), (1986). თბილისი: საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,  
ერთტომეული, 126, 143.

40 ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრა-  
ფიული ლექსიკონი, მეტრეველი. რ. (რედ) (2011).  
თბილისი: 2011.

41 მათიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება. მეტრე-  
ველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მერიდიანი,  
არტანუჯი, 289.

42 ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მათიანე“, ქა-  
რთლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.),  
(2008). თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი, 623.

43 ანდრონიკაშვილი მ., (1965). არაბული სიტყვების  
სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში.  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომე-  
ბი, ტ. 105, 310.

44 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ლექსიკონი  
შეადგინა ა. შანიძემ, (1957). თბილისი: თბილისის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 349.

- „მელიქ-სუხრაჯი ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა“. (1065)

ა. ჩიქობავასა ლექსიკონით, ნადავლი, დავლა ნიშნავს ნაძარცვ, ნაყარაღარ, ომში ნაშოვნ ქონებას, იარაღს და სხვ.<sup>45</sup> ა. ლლონტის განმარტებით, ტერმინი „დავლა“ დაკავშირებულია არაბულ-თურქულ Davlat-თან. ფშავ-თუშურ კილოკავში „დავლა“ გავრცელებული იყო ასევე „დავლათის“ ფორმით, რაც ნიშნავდა ქონებას, ნადავლს, ნაალაფარ, ომში ნაშოვარს.<sup>46</sup>

მიუხედავად იმისა, რომ „დავლა“ ქართულ ენაში, ყველაზე გვიან, XII საუკუნის ბოლოდან მაინც მოჩანს, მას ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ფართო გამოყენება არ ჰქონია. თუმცა, ეს სიტყვა ისე ადაპტირდა თანამედროვე ქართულში, რომ სრულად განდევნა და ჩაანაცვლა სხვა ენებიდან ნასესხები თუ მკვიდრი სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი სიტყვები. ამიტომ ამ ტერმინის კვლევაც მიზანშეწონილია.

**ნაშოები.** „ნაშოები“<sup>47</sup> ინფორმაციულად ყველაზე დატვირთული და სრული ტერმინია. ის ომის როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ნადავლის გამომხატველი სიტყვაა. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, დავით აღმაშენებლის ანდერძის სიტყვები „რომელნი მიშოვებიან“ გულისხმობს იმ მიწებს, რომლებიც მან ომებით შეიძინა.<sup>48</sup> 1125 წლის ანდერძით, დავით მეფე თავის მემკვიდრეს ავალებს, მისი ნაშოვნი ადგილებიდან, რომლებიც არიან „უმკვიდრონი და უმამულონი“, ბერ არსენსა და კათალიკოსს წერილითა და სიგელით „ყოველითურთ უნაკლულოდ“ გადასცეს მათ მიერ

შერჩეული მიწები.<sup>49</sup> აქ „ნაშოები“ ნამდვილად გულისხმობს ომით დაპყრობილ მიწებს. მონადერძის მითითება, რომ ადგილები გადაეცეს „ყოველითურთ უნაკლულოდ“, უნდა ნიშნავდეს მიწის გადაცემას მასთან დაკავშირებულ სხვა ქონებასა და უფლებებთან ერთად.

ივ. ჯავახიშვილი ძაგან აბულეთის ძის დაწერილზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „ნაშოებს“ ასევე ჰქონდა ომით მოპოვებული მოძრავი ნივთების მნიშვნელობა.<sup>50</sup> ძაგან ერისთავი მონასტერს სწირავს სოფელს, რომელიც მას ბაღდადს „ნაშოებით“ გამოუსყიდია.<sup>51</sup>

ნაშოვარი მოძრავი ალაფის მნიშვნელობით გვიანდელი პერიოდის წყაროებშიც ჩანს. მაგალითად, სეხნია ჩხეიძე (1670-1745 წწ.) თავის ისტორიულ თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“ აღწერს ხოსროს მიერ ბანდარის მამულების დარბევას: ხოსრო „უკანვე საშოვრად დამდგარიყო და ორი მისი სარდალი და ნაშოვარი გამოესტუმრებინა“.<sup>52</sup>

ნაშოებს მხოლოდ ომში მოპოვებული ქონების მნიშვნელობა არ ჰქონდა. ხანდაზმულობითი მფლობელობით და პატრონისგან მიტოვებულ, ოხერი<sup>53</sup> უძრავ-მოძრავი ნივთების დაუფლებასაც ნაშოები ერქვა.<sup>54</sup>

45 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ა. ჩიქობავა (რედ.), (1986). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ერთტომეული, 349.

46 ლლონტი, ა., (1974). კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი: განათლება, წ. 1, 2, განათლება.

47 ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ნაშოები“ რომაული res hostiles უტოლდება შინაარსით. ჯავახიშვილი ი., (1984). თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტომი VII, 291; Res hostiles, res hostium – სამხედრო მოწინააღმდეგის კუთვნილი ითვლებოდა უპატრონო ნივთებად მათი მითვისების (დაპყრობის) შესაძლებლობით, Бартошек, М., (1989). Римское право, понятия, термины, определения. Москва: Юридическая литература, 274.

48 ჯავახიშვილი ი., (1984). თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტომი VII, 219.

49 ანდერძი დავით აღმაშენებლისა [1125 წ.], ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II, 20. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, დავითის ეს ანდერძი ყალბი ან ნაწილობრივ ნაყალბეა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ანდერძის ტექსტი შეცვლილი უნდა იყოს ვახტანგ უფლისწულის მომხრეების ან გიორგი III-ის მიერ.

50 ჯავახიშვილი ი., (1984). თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტომი VII, 291.

51 იქვე.

52 ხუბუა მ., (1940). ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე (1899-1939). თბილისი: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, 241.

53 ოხერი – უპატრონო, აოხრებული, დატევებული, ხელაღებული, ანუ მოძავებული პატრონისგან, ჩუბინაშვილი ნ., (1962). ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაებრ სულხან-საბა ორბელიანისა. სიტყვა „ოხერი“ სპარსულ და არაბულ ენებში ერთგვარი მნიშვნელობისაა და ნიშნავს – უკანასკნელს, ბოლოს, ანდრონიკაშვილი მ., არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105, თბ., 1965, 306.

54 ჯავახიშვილი ი., (1984). თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტომი VII, 219.



## ხმლით ნაშობები როგორც მოუღებარი საკუთრება

თუ ნაალაფარი, ნატყვენავი ქონება შესაძლებელია დავის საგანი გამხდარიყო და პირს საკუთრების უფლება მასზე ვერ მოეპოვებინა, „ხმლით ნაშობები“ უკვე მშოვნელის სრული და შეუცვლელი საკუთრების აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა.

ეს კარგად ჩანს ზემოთ დასახელებული ძაგან აბულეთის ძის შეწირულების დაწერილიდან. ძაგანი საბუთში აღნიშნავს, რომ შიომღვიმის მონასტრისთვის შეწირული სოფელი ანგროინი მას ადრეც ეკუთვნოდა, მაგრამ მის ბიძაშვილს, ივანეს გაუყიდა და მან უკანვე გამოისყიდა „ბაღდადს ნაშობებითა ოქროითა“. რადგან ოქრო ხმლით ნაშობებია<sup>55</sup> და ნასყიდში არც მამულისგან და არც სოფელთაგან აღებული თანხა არ არის გადახდილი, შეწირული ითვლება „მოუღებრად ყოვლისა კაცი-საგან“.<sup>56</sup> ძაგანის თქმით, ამ შეწირულში:

*„არავის რაი საქმე უც: არცა პატრონსა ღმრთის სწორსა ამას ადგილსა თანა, არცა ჩემთა შვილთა და მომავალთა, არცა ჩემისა გუარისა კაცსა, არცა რაი სათათროი გამოსაღებელი ზედა-აც ჩემისა სახლისაი ანგროინელთა და არცა რაი სხუაი გამოსავალი და ბეგარი“.<sup>57</sup>*

ამ საბუთით მტკიცდება, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევარიდან მაინც, მეომრის მიერ ომში ნაშოვნი მტრის ქონება მისი სრული საკუთრება ხდებოდა. საკუთრების უფლება ხმლით ნაშობებზე იმდენად მტკიცე და ხელშეუვალია, რომ პოლიტიკურ მფლობელსაც კი არ შეუძლია მასზე რაიმე უფლების მოთხოვნა. ამასთან, შემწირველი მემკვიდრეებსა და

ნათესავებს მომავალშიც ართმევს შესაძლებლობას მოითხოვონ წილი შეწირული ქონებიდან ან ანგროინელებს დააკისრონ დამატებითი გადასახადები. მეტი სიმტკიცისთვის, შეწირულობის წიგნის ძირითადი ტექსტი მეფის მწიგნობრის, იოანე მახოიტისძის ხელით არის დაწერილი.<sup>58</sup>

საბუთის დასასრულს, ძაგანი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გარდა „ჩემსა ნასისხლისა ბაღდადით მოგებულისა მეტი“, შეწირულ სოფელში არაფერი დევს და ამიტომ არც ღმრთის სწორს, არც შვილებსა და მომავალს, არც სხვებს მასში საქმე არა აქვსო.<sup>59</sup> ამ წინადადებაში ყურადღებას იქცევს ტერმინი „ნასისხლი“, რომელსაც ძაგან ერისთავი ხმლით ნაშობების ნაცვლად იყენებს. ნასისხლი ნიშნავს სისხლის ფასში მიღებულ საზღაურს, მაგრამ წინადადების კონტექსტის გათვალისწინებით, ის აქ ნაშობ ქონებას უნდა უდრიდეს. ამ მოსაზრებას ამყარებს დავითის 1125 წლის ანდერძის ერთი ჩანაწერი. დავითი თხოვს დემეტრე მეფეს: „ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საქურჭლისა, იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა“.<sup>60</sup> დასაშვებია, რომ აქ დავით მეფეს მხედველობაში აქვს ომებში, პირადად მისი წვლილით დამარცხებული მტრისგან აღებული ფული და არა სისხლის დაურევებით მიღებული საზღაური, მითუმეტეს, რომ მეფის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლის გადახდა შეუსაბამოა ძველი ქართული სამართლისთვის.

ნაშობებთან ასოციაციური კავშირი აქვს სიტყვათა შემდეგ შეთანხმებას: „ველთა თვსთა ნადირებულთა“.<sup>61</sup> დავითის ცხოვრების უამთა-აღმწერელი მის ქველმოქმედებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მეფე ხშირად სხვებისგან ფარულად ეხმარებოდა ეკლესია-მონასტრებს სხვადასხვა მიზნებისთვის და ამ სახსრებს ის გასცემდა:

მცემლობა, ტომი VII, 291.

55 ივ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილ ძაგან აბულეთის ძის შეწირულების წიგნის ტექსტში შეცდომაა. ნაცვლად სიტყვისა „წრმლითა“ წერია „ველით“ ნაშობები. მეცნიერს ნაშრომზე მუშაობისას ხელთ ჰქონდა თ. ჟორდანიას მიერ 1896 წელს გამოცემული შიომღვიმის ისტორიული საბუთები, სადაც ამ საბუთის ტექსტიცაა შეტანილი და იქ სწორედ „წრმლითა“ წერია. ამავე გამოცემის ტექსტით ისარგებლა ის. დოლიძემ ქართული სამართლის ძეგლების II ტომზე მუშაობისას.

56 შეწირულების დაწერილი ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისადმი [1260 წ.], ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II, 70.

57 იქვე.

58 იქვე, 71.

59 იქვე.

60 ანდერძი დავით აღმაშენებლისა [1125 წ.], ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II, 20.

61 ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მეტიდიანი, არტანუჯი, 337.



„არა თუ ჯელოსანთა მორთმულისაგან, ანუ საჭურჭლით, არამედ ჯელთა თხსთა ნადირე-ბულთა, რომელთაგანი ოდესმე თხსსა მოძღუ-არსა იოვანეს მისცა დრაჰკანი, ვითარ ოცდა-ხუთ ათასეული, რაჟთა განუყოს გლახაკთა“.<sup>62</sup>

ფრაზას – „ხელთა თვისთა ნადირებულთა“, თხზულების ავტორი იყენებს „ხმლით ნაშოე-ბის“ მნიშვნელობით. რა თქმა უნდა, აქ მონა-დირებული გადატანითი მნიშვნელობით იგუ-ლისხმება, მაგრამ ის მოტივირებულია მისი პირდაპირი მნიშვნელობით. ეს ქონება, რო-გორც ნანადირევი, მისი მომპოვებლის პირა-დი საკუთრებაა. ამას ამტკიცებს ის გარემოე-ბა, რომ ამ საფასეში არც ვინმეს მირთმეული და არც სამეფო ხაზინიდან აღებული ქონება არაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნადა-ვლის მშოვნელი მასზე სრულ საკუთრების უფლებას იძენდა, თუ ის ომში პირადად მისი წვლილით იყო მოპოვებული და მას მცირე ხნით ფლობდა მაინც, როგორც საკუთარს.

## სამხედრო ნადავლის განაწილების წესები

საკუთრების შეძენის ეს გზა როგორც მა-ღალი წოდების წარმომადგენლებისთვის, ასევე მდაბიორ-მოლაშქრეთათვის, მათი ქო-ნებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების და, ზოგიერთ შემთხვევაში, გამდიდრების წყარო იყო. განსაკუთრებით კი იმ პერიოდში, რო-დესაც ქვეყანა თავდაცვითი ომებიდან ალა-ფობაზე გადადიოდა.<sup>63</sup> აქედან გამომდინარე, საჭირო იქნებოდა სამართლებრივად დარე-გულირებულიყო ალაფის აღებისა და მისი განაწილების წესები.

გვიანი შუასაუკუნეების საბუთებსა და სა-მართლის წიგნებში საკმარისად მოიპოვება ცნობები ამ საკითხზე, თუმცა უფრო ადრეული პერიოდის ნარატიული წყაროები მხოლოდ ნადავლის შემადგენლობასა და რიცხოვნო-ბაზე ამახვილებენ ყურადღებას და, ძირითა-დად, გვერდს უვლიან ალაფის გაყოფის იმ-დროინდელი წესების აღწერას.

ლეონტი მროველისა და ბასილი ეზოსმო-ძღვრის ნაშრომებში მოცემულია რამდენიმე საინტერესო ცნობა, რაც გარკვეულ წარმო-დგენას იძლევა – სად და როგორ ხდებოდა ნაალაფარი ქონების გაყოფა. ლეონტი მრო-ველის წერს, რომ ქართლელებისა და ჩრდი-ლო კავკასიელთა გაერთიანებული ლაშქარი სომხეთის მორბევის შემდეგ დაბრუნდა და დადგა „კამბეჩოანთან“, იორის ნაპირზე და დაიწყეს ტყვეებისა და ნატყვევნავის გაყოფა.<sup>64</sup> ვის რა ოდენობის წილი ერგებოდა, ისტორი-კოსი ამაზე არაფერს ამბობს, მაგრამ ჩანს, რომ ომის ნადავლი ნაწილდებოდა ქვეყანაში დაბრუნებისას, სანამ ლაშქარი გაიყრებოდა. გავრცელებული მოსაზრებით, ლაშქარი იქ გაიყრებოდა, სადაც შეიკრიბა.

იგივეს ამბობს ბასილი ეზოსმოძღვარიც, რომელიც დაწვრილებით აღწერს შამქორის ბრძოლაში გამარჯვებული ლაშქრის ალა-ფით დაბრუნებას თბილისში. ლაშქარი ჯერ თბილისის შემოსასვლელთან დადგა. ნადა-ვლი ისეთი მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ თბილისის შემოგარენი ტყვეების, ცხენების, ჯორებისა და აქლემების სიმრავლეს ველარ იტევდა. მათი იაფად გაყიდვა უკვე ქალაქში შესვლამდე დაუწყიათ. აქ გვხვდება პირველი ცნობა ნადავლში მეფის წილის ოდენობის შე-სახებ. ისტორიკოსი წერს, რომ ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა აიღეს სამეფო ფანჯი-აქი და ის განაწყვეს დიდუბის ველიდან ავჭა-ლამდე.<sup>65</sup>

ფანჯიაქის ანუ ნადავლიდან მეხუთედი წი-ლის სახელმწიფოს მმართველისათვის გადა-ცემის წესი არაბთა სახალიფოში მოქმედებ-და და, დასაშვებია, საქართველოშიც სწორედ აქედან გავრცელდა. სომეხი ისტორიკოსის ლევონდის ცნობით (VIII ს.), მურვანმა ჰონებ-ზე ლაშქრობიდან წამოღებული დიდძალი „ნადავლის მეხუთედი [წაწილი] და ტყვეები თავის გამგებელს ჰეშიმს გაუგზავნა წერილ-თან ერთად, რომლითაც მას გამარჯვებას აუ-წყებდა“.<sup>66</sup>

62 იქვე.

63 ანთელავა ილ., (1980). XI-XV საუკუნეების საქა-რთველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბილისი: განათლება, 13.

64 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მე-ფეთა, ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მეტიდიანი, არტანუჯი, 59.

65 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მეტიდიანი, არტანუჯი, 492.

66 ცაგარეიშვილი, ე., (1971). სომხური წყაროები არა-ბეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. მრა-

მხარგრძელების მიერ სამეფო აღებული ფანჯიაქის შემადგენლობა თამარის ისტორიკოსს დაწვრილებით აქვს აღწერილი:

*„აქლემი ყულა ტვრითთა, ცხენი ყულა შუკაზ-მული, ვგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თს-თსითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომი – შემდგომად; გააწყუეს კარიტგან ქალაქისათა ჴევამდე გლდანისა ტყუე ყოველი. განიყვანეს თამარ და შესწირეს, და ათაყუანნეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი“.<sup>67</sup>*

როგორც ბასილი ეზოსმოდღვრის ამ ცნობიდან ირკვევა, ტყვედ ჩავარდნილ მტრის სამხედრო მეთაურებსა და ყველა ტყვეზე, მტრის დროშებზე, ასევე სალაშქრო ცხენებსა და სატვირთო აქლემებზე, პირველადი საკუთრების უფლება ეკუთვნის მეფეს. ამ უფლებას ადასტურებს თამარის თბილისის შემოგარენში, ნადავლის თავმოყრის ადგილზე მიბრძანება და მისთვის ფანჯიაქის შეწირვა. მხოლოდ ამის შემდეგ ბრუნდება მეფე ქალაქში და სხვა ნაალაფარი ნივთების მიღებას იწყებს მოლაშქრეებისგან. ამ შემთხვევაში არ ჩანს, მეფისთვის ძღვნად მისართმევი ალაფის აღების რაიმე წესი მოქმედებდა თუ მოლაშქრე თავად განსაზღვრავდა მის ოდენობას. დასახელებულია მხოლოდ ეს ნაალაფარი ქონება:

*„...და თვთულმან იწყო ძღუნთა მოღებად: ოქროსა და სამკაულისა და ჴურჴელთა მისთა, თუალთა პატიოსანთა და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჴაჭუთა, მუზარადთა, ჴრმალთა ამათ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა, ოქროქსოვილთა და შესამოსელთა მრავალსასყიდლოანთა, ცხენთა და ჴორთა; მანიაკთა ოქროსათა თუალიან-მარგალიტიანთა, სუნელთა მრავალფერთა და ალვისა ხეთა“...<sup>68</sup>*

ამავე დროს, მეფის გარდა, სამეფო აზნაურებიც იღებდნენ ნადავლის ნაწილს: რჩეულ ტყვეებს, ოქროს ნივთებს, ინდურ ქვებსა და ურიცხვ მარგალიტს.<sup>69</sup> ავტორის მონათხრობით გაურკვეველია, აზნაურები ამ ქონებას უშუალოდ მეფისგან იღებდნენ თუ მოლაშქრეებისგან. სავარაუდოა, რომ დიდებულე-

ბს ამ ქონებას მეფე თავისი ფანჯიაქიდან და დამატებით მიღებული ძღვენიდან უნაწილებდა. ამ დაშვების საფუძველს წარმოადგენს ბასილი ეზოსმოდღვრის მითითება ყოველი ტყვის თამარ მეფისადმი შეწირვის შესახებ. თუ ტყვეები მეფის საკუთრებას წარმოადგენდნენ, მათი განკარგვაც მეფის უფლებამოსილება იქნებოდა.

ეროვნული და საქართველოში მოქმედი უცხოურიდან ნათარგმნი სამართლის წიგნების საფუძველზე დგინდება, რა საკანონმდებლო ნორმები მოქმედებდა სამხედრო ნადავლის აღებისა და მისი გაყოფის, ასევე ნადავლზე დავის წარმოშობის დროს.

უცხოური სამართლის ქართული ვერსიებიდან ომის ნადავლთან დაკავშირებულ საკითხებს ყველაზე ვრცლად სომხური სამართლის წიგნი, უფრო კონკრეტულად კი, მხითარ გოშის სამართალი არეგულირებს.

სომხური სამართლის მიხედვით, ნადავლის განაწილება იმის მიხედვით ხდებოდა, ლაშქარი მეფის დავალებით წავიდოდა მოსარბევლად თუ ჯარი თავისი გადაწყვეტილებით მოქმედებდა. ასევე, მნიშვნელობა ჰქონდა საომარი მოქმედებების მოცულობასაც, ლაშქრება ერთი კონკრეტული ადგილის მოსარბევლად ხორციელდებოდა თუ მტერთან საომრად.

ლაშქრობისას, თუ მეფეც თან ახლდა ჯარს და მისი ბრძანებით ერთ ადგილს დაესხმებოდნენ თავს, სრულად მოაოხრებდნენ მას და თან ყველაფერს დაინარჩუნებდნენ, ნაშოვარი ოქრო სრულად მეფეს ეკუთვნოდა და მისთვის უნდა მიერთმიათ. თავად მეფეს ამ ოქროდან კათალიკოზისთვის ათისთავი უნდა გამოეყო. სხვა ნაშოვარი და ტყვეები თანაბრად ნაწილდებოდა: ერთი ნახევარი მეფის იყო, მეორე ნახევარი კი – თავადების. თავის მხრივ, თავადებიც თავის წილ ნადავლს ორად ჰყოფნენ ნადავლს. სავარაუდოდ, თითოეული თავადი მის კუთვნილ წილის ნახევარს თავად იტოვებდა, დანარჩენი კი ლაშქარში ნაწილდებოდა. სამართალი თავადებსაც ავალდებულება ათისთავი ეკლესიისთვის გადაეცათ (მ. 418).<sup>70</sup>

ვალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება, 483.

67 ბასილი ეზოსმოდღვარი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მეტიდიანი, არტანუჯი, 493.

68 იქვე.

69 იქვე.

70 სამართალი სომხური, მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქართული სამართლის ძეგლები. (1963). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი:

თუ მეფე ლაშქარში არ იყო, მაგრამ მისი ბრძანებით იგზავნებოდა ჯარი და საშოვარსაც შოულობდა, ნადავლი ოქრო ისევ სრულად მისი იყო, სხვა ალაფისა და ტყვეებისგან კი მას მხოლოდ ათისთავი ეკუთვნოდა. ეკლესიის წილის ოდენობაც მეფის ლაშქრობაში მონაწილეობაზე იყო დამოკიდებული. რადგან ამ შემთხვევაში მეფე ჯარს თან არ ახლდა, ეკლესიაც მხოლოდ ნადავლის მეორმოცდაათს მიიღებდა (მ. 418-ე).<sup>71</sup>

მხითარ გოშის სამართლის 420-ე მუხლი ნაწილობრივ იმეორებს 418-ე მუხლის დანაწესებს. ამ დადგენილებითაც, ხელმწიფის ბრძანებით სალაშქროდ წასული ჯარისა და თავადების მიერ ნაშოვნი ალაფიდან ნახევარი მეფისაა, მეორე ნახევარი კი თავადებსა და მოლაშქრეებს შორის უნდა განაწილდეს. თუ ჯარი და თავადები თავისი სურვილით დაესხმებოდნენ თავს მტერს, ნადავლის ორი წილი მათი იყო, მეფის კი მხოლოდ ერთი, რადგან ისინი საკუთარი ნებით მიდიოდნენ ომში და სწირავდნენ თავს (მ. 421-ე).<sup>72</sup>

მხითარ გოშის 425-ე მუხლი განსაზღვრავს ტყვის, მისი ცხენის, იარაღისა და აღკაზმულობის დასაკუთრების წესებს: „*მოლაშქრე კაცმა ომში ვინც დაინარჩუნოს კაცი, დარჩომილის კაცის იარაღი, ტანისამოსი, ცხენი, ვინც დაინარჩუნოს, მისი იყოს. და კაცი, ჯაჭვი და მუზარადი, ჯელმწიფეს მიართვეან*“, ხოლო 426-ე მუხლი ადგენს თუ როგორ უნდა განაწილდეს ნაალაფარი ძვირფასეულობა და სხვა დანარჩენი ქონება: „*ომში ნაშოვნი ოქრო, თვალი, მძიმე ბარბაბი ვინც იშოვნოს, ხელმწიფის წილია, მარგალიტი და ვერცხლი თავადების არის და სხვა რაგინდარა ნაშოვარი ჯარისა არის*“.<sup>73</sup>

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი ნაწილის მხოლოდ ერთი, 178-ე მუხლი ეხება სამხედრო ნადავლის დანაწილებას. თუმცა, ეს მუხლი, იმ ხელნაწერებში, რომელთა მიხედვითაც ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტის გამოსაცემად მომზადდა, მხოლოდ სათაურს შეიცავს: „*ლაშქარში დანარჩუნებულს კაცსა და იარაღზე*

*ირჩოდნენ*“.<sup>74</sup> მუხლის შინაარსი დგინდება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში დაცული 201-ე ხელნაწერის შესაბამისი ნორმით:

„*მისი ასე იქნას, თუ კაცმა კაცი დაინარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დამნარჩუნებელისა არის; ჯაჭვი, ზუჩი<sup>75</sup>, მუზარადი და ამგვარი ხელმწიფისა არის, – მძიმე თვალი და მარგალიტი*“.<sup>76</sup>

კანონმდებლის მოთხოვნა ნათელია. მოლაშქრე, რომელიც მოკლავს ან ტყვედ ჩაიგდება მტრის მეომარს, უფლებამოსილია მისი ცხენი და ნივთების ნაწილი მიისაკუთროს. აქვე, კონკრეტულადაა განსაზღვრული, რა სახის ნაალაფარი ქონება ეკუთვნის მეფეს – ეს არის სალაშქრო აღკაზმულობა და ძვირფასეულობა. საყურადღებოა, რომ ალაფის განაწილების ეს წესი „*ორბატონობასა და ორიანობაში მიჯდომის*“ პარაგრაფში შეტანილ 176-ე და 177-ე მუხლებს<sup>77</sup> მოსდევს. 178-ე მუხლი არ არის გამოყოფილი ცალკე სათაურით, რაც შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ თითქოს 178-ე მუხლი მიემართება აღნიშნულ პარაგრაფს. რადგან ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითად ნაწილში ლაშქრობასთან დაკავშირებულ საკითხებს სხვა არცერთი დადგენილება ითვალისწინებს, სარწმუნოა, რომ ეს ნორმა ზოგადი ხასიათისაა და როგორც შიდა, ასევე საგარეო ომებში ალაფის აღების წესებს არეგულირებს.

178-ე მუხლის სათაურიდან გამომდინარე, მას ასევე სამართლებრივად უნდა დაერეგულირებინა ალაფის გაყოფის დროს მოლაშქრეთა შორის წარმოშობილი დავებიც, რაც ამ მუხლით გათვალისწინებული არ არის.

მეცნიერება, I, 386.

71 იქვე, 387.

72 იქვე.

73 იქვე, 388. 425-ე და 426-ე მუხლები ასევე შეტანილია მხითარ გოშის სამართლის 152-ე მუხლში [სამართალი ველმწიფეთა].

74 სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა ქართული სამართლის ძეგლები. (1963). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, I, 525.

75 ზუჩი – „თავს დასარქმელი საომარი რკინა, რომელსა უხმობენ კვერცხსაცა. წინათ და უკანითა აქუს მოვლებული ჯაჭვის ბადე, რომელსა ჰქვიან ზარადი“. ჩუბინაშვილი, დ., (1984). ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

76 სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქართული სამართლის ძეგლები. (1963). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, I, 525.

77 იქვე.



სავარაუდოდ, სწორედ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ჩაამატეს სამართლის წიგნი 254-ე და 255-ე მუხლები. ეს მუხლები ვახტანგის სიცოცხლეშივე უნდა იყოს შეტანილი.<sup>78</sup>

ეჭვს არ იწვევს, რომ ვახტანგს 178-ე მუხლით დადგენილი ალაფის გაყოფის წესები მცირეოდენი რედაქციით საკუთარ სამართალში მხითარ გოშის სამართლის წიგნის გავლენით შეუტანია და ამით ეროვნული სამართლის შემადგენელ ნაწილად უქცევია.<sup>79</sup> განსხვავება ვახტანგის სამართლის წიგნის დასახელებულ მუხლსა და მხითარ გოშის სამართლის 425-ე და 426-ე მუხლების შინაარსს შორის ისაა, რომ პირველი მთლიანი ძვირფასეულობის მხოლოდ მეფისთვის გადაცემას ითვალისწინებს, უკანასკნელი კი მეფესა და თავადებს შორის გაყოფას აწესებს.

მტერთან ომში ნაშოვნი ქონების მეხუთედის მეფისთვის გადაცემას ითვალისწინებს ვახტანგის სამართლის 255-ე მუხლი. თუ საქონელი თარეშობით იქნებოდა ნაშოვნი, მეფე იღებდა ფანჯიაკს და არ ჰქონდა მნიშვნელობა – ის თან ახლდა ლაშქარს თუ არა. თუ მეფე თავად ახლდა ლაშქარს, მას ფანჯიაკთან ერთად ნებისმიერი მისთვის სასურველი საქონლის აღება შეეძლო.<sup>80</sup>

ვახტანგის სამართლის წიგნის 255-ე მუხლის მეორე ნაწილით: „ამხანაგში ჯეთ თუ გარიგდენ, პირობა მისცეს ერთმანერთს, რომელიც ამხანაგი სულ ცარიელი დარჩეს, წილს ვერ დააკლებს, და ათისთავს საცხენმალოს მაშოვარი კაცი აიღებს“.<sup>81</sup> ანუ რიგით მოლაშქრეებს შორის ომში დანარჩუნებული ქონების წილის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მათ შორის გარიგება. თანამოლაშქრეებს უფლება ჰქონდათ წინასწარ, ურთიერთშეთანხმებით განესაზღვრათ ალაფის გაყოფის პირობები. კანონი კრძალავდა ამ პირობების დარღვევას. აქ არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინმე მტერთან ბრძოლაში ხელცარიელი დარჩებოდა თუ დიდ ნადავლს იშოვიდა, ალაფი მაინც თანაბრად უნდა გაიყოთ. ოღონდ ალაფი ნაწილდებოდა მას შემდეგ, რაც საცხენმა-

ლოს აიღებდა მისი მშოვნელი. ის, დოლიძის განმარტებით, საცხენმალო იყო ნადავლი ქონების მეათედი, რომელსაც ზედმეტი წილის სახით იღებდა ამ ქონების მშოვნელი.<sup>82</sup>

სამართლის წიგნებისგან განსხვავებით, სამხედრო ნადავლთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე მეტი ინფორმაცია მოიპოვება სიგელ-გუჯრებსა და დაწერილებში, განსაკუთრებით კი, XVII-XVIII დოკუმენტებში. თუმცა, უფრო ადრინდელი და, ასევე, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომი საბუთებიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

ამ საბუთებით შესაძლებელია დადგინდეს, რა გარემოებებზე იყო დამოკიდებული სამხედრო ნადავლში მეფის წილის აღება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ფანჯიაკად იწოდება. ასევე, მეფის ფანჯიაკიდან ქართლ-კახეთის დიდი მოხელეების, ქართლისა და კახეთის სახლთუხუცესების, სადროშოს სარდლებისა და დაბალი წოდების სამხედრო პირებისათვის გასაცემი ალაფის ოდენობა.

**ამილახორთა სახლის წილი.** 1656 წლის წყალობისა და სასარდრო გარიგების წიგნითა და სიგელით, ამილახორთა სახლს დაუმტყდა „სარდრობის სარგო“ და ფანჯიაკის აღების წესიც განესაზღვრათ. მეფე ამილახორთა სახლს მიმართავს: „რაც თქვენი დროშის კაცი საშოარს იქმოდეს და ჩვენი მეფანჯიექენი ფანჯიექს აიღებდეს, რაც ათის თავი გერგებოდეს მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი მეფანჯიექეთ გაიყონ“.<sup>83</sup> ამილახორთა სახლს ფანჯიაკში წილი კი ჰქონია, მაგრამ მისი მოცულობა მცირეა. მეფის კუთვნილი მეხუთედი წილის აღების შემდეგ, ამილახორს დარჩენილი თანხის მეათედის მხოლოდ ნახევრის აღების უფლება ჰქონდა.

ამას მოწმობს თავად ოთარ ამილახვარის წერილი ციციანოვისადმი. ის, როგორც ამილახვარი, ანუ მეფის მემარტვენი სარდალი, წარადგენს მის სახელოსთან დაკავშირებული შემოსავლების ნუსხას. პირველ რიგში, ასახელებს ფანჯიექს და იქვე განმარტავს მოთხოვნის საფუძველს: „როდესაც მტრის ქვეყნიდამ ჩემი სასარდლო ნაშოვარს მოიტანდა, იმ ნა-

78 იქვე, 668.

79 ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, (1963). ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, I, 653.

80 იქვე, 434.

81 იქვე, 546.

82 იქვე, 766.

83 მესხია შ., (1948). მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ. თბილისი: I, 85.

შოვრიდან სამეფოთ ფანჯიეჩი აიღებოდა, ესე იგი ხუთხედ ერთი, და რაც სამეფოთ დადგებოდა ოთხი მეფისა იყო და მეხუთე ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა“.<sup>84</sup> ამავე საბუთით ირკვევა, რომ თუ სასარდლოდან მეფეს ლაშქარი დააკლდებოდა, მეფე მათ არბევდა და „რაც სარბევი დადგებოდა სამეფოთ“, იქიდანაც ამილახორს მეხუთედი წილი ერგებოდა.<sup>85</sup>

**რუსთავის სადროშოს წილი.** დავით იმამყულიხანმა საღმრთოდ და საეროდ გამწესებული რუსთავის მთავარეპისკოპოსის „ღრმთაების საყდარში“ დადგინების შემდეგ დაამტკიცა ნატყვენავსა და ნაშოებში მისი წილის ოდენობა. საყდარს და რუსთაველს ეკუთვნოდა ფანჯიეჩი ყოველივე იმისგან, რასაც სპა იშოვიდა, რადგან რუსთავის მთავარეპისკოპოსი ამავე დროს სპის უფროსია. მეფის თქმით, „დროშისათვის ღმრთეებისა“ სხვა მეფეთაც შეუწირავთ ნადავლი და ამიტომ ღრმთაების დროშის ყმებს, გლეხებს, აზნაურებს, თავადებსა და ეპისკოპოსებს მისთვის ნაშოვების ხუთის თავი უნდა მიერთმიათ. აქ ფანჯიეჩის გაცემის მიზეზი ღმრთაების დროშის სამადლობელია, რადგან მხოლოდ მისი მფარველობით ხდება მტრის დარბევა და დამორჩილება.<sup>86</sup> როგორც ჩანს, ფანჯიეჩის უკლებლივ რუსთაველისთვის დატოვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გათვალისწინებული, თუ სადროშოს სპა მეფისგან დამოუკიდებლად ლაშქრობდა. იმამყულიხანის სა-რუსთავლო დროშისთვის 1722 წ. გაცემული განწესებით, თუ რუსთავის გალაშქრება მეფისგან იქნებოდა ნაბრძანები, ჯარი მტერს დაამარცხებდა და ნატყვენავს იშოვიდა, მეფის მოხელეებსა და რუსთავის მედროშეებს ნადავლი უნდა აღეწერათ და შემდეგ გაეყოთ:

*„და ერთად შეკრებდენ ცხოვარსა, ძროხასა, ცხენსა, გინა რვალთა, ანუ ვერცხლთა და ოქროთა. ყოველსავე ორად განყოფდენ, ნახევარს ღმრთაებისა დროშასა და რუსთაველს მთართმიდენ, ნახევარსა ჩვენნი მოხელენი წამოიღებდენ“.<sup>87</sup>*

წესდებიდან ჩანს, რომ რუსთაველის სად-

როშო სხვებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაშია. როგორც იმამყულიხანი საბუთში წერს, ეს მანამდეც „რიგნი ძველთა მეფეთანის“ მიერ ასე ყოფილა დამტკიცებული, თეიმურაზსაც იგივე დაუდგენია და ისიც ამ მეფეთა წესს მისდევს.<sup>88</sup>

**სახლთუხუცესთა წილი.** საბუთებით ირკვევა, რომ ქართლისა და კახეთის სახლთუხუცესებს მეფის ფანჯიეჩში თავისი წილი ჰქონდათ. ქართლის სამეფოს სახლთუხუცეს ივანე ორბელიანს შედგენილი აქვს მისი სახელოს სარგებელ-შემოსავალი,<sup>89</sup> მათ შორის ის ასახელებს ფანჯიეჩსაც. ივანე განმარტავს მის მნიშვნელობას: „ფანჯიეჩი, ესე იგი ხუთხედ ერთი; როდესაც საქართუელოს ჯარი მტრის ქვეყანაში მივიდოდა და იქიდა მსაშოვარს მოიტანდნენ, ხუთის თავს სამეფოთ აიღებდნენ და რაც მეფეს ერგებოდა, იქიდა მთერთმეტის თავი ჰქონდა, როდესაც აიღებ(ო) და“.<sup>90</sup>

კახეთის მეორე სახლთუხუცესი ალექსანდრე მაყაოვი (მაყაშვილი) თხოვნით მიმართავს პავლე ციციანოვს (1803 წ. საბუთი). იგი ჩამოთვლის მისი სახელოსთვის განკუთვნილ ყველა ფულად და ნატურით გადასახადს, რომელსაც ის იღებდა საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებამდე და ითხოვს მათ აღდგენას. ამ ჩამონათვალში შემოსავალი: „კახეთის ფანჯიეჩიდა მ ჯარიმიდამ [შვიდი თუმან ნახევარი]“.<sup>91</sup> კონტექსტით ჩანს, რომ დასახელებული თანხა მხოლოდ ჯარმის ოდენობას შეადგენს. კონკრეტულად რა წილი ერგებოდა კახეთის ფანჯიეჩიდან სახლთუხუცესს, არ არის მითითებული.

ასეთივე თხოვნის საბუთები აქვთ წარდგენილი სხვა სახლთუხუცესებს, მაგრამ იქ ფანჯიეჩი არ არის ნახსენები.

**ქიზიყის მოურავის წილი.** ქიზიყის მოურავი ამ ერთეულის უპირველესი სარდალი იყო გვიანფეოდალურ კახეთში. ერეკლე II ქიზიყში სამეფო და სამოურაო სარგოს შესახებ

84 იქვე.  
85 იქვე, 86.  
86 ღმრთაების გუჯარი [1722 წ.], ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II, 363.  
87 იქვე, განწესება სარუსთავლო დროშისა [1722 წ.], 385.

88 იქვე.  
89 ეს საბუთი დაუთარიღებელი და ხელმოუწერელია. როგორც შ. მესხია აღნიშნავს, მან რუსული თარგმანიდან გაარკვია, რომ ის ეკუთვნის ივანე ორბელიანს და შედგენილია 1803 წელს. მესხია, შ., (1948). მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სა-მოხელეო წყობის შესახებ. თბილისი: I, 2.  
90 მესხია, შ., (1948). მასალები ქართლ-კახეთის სამე-ფოს სამოხელეო წყობის შესახებ. თბილისი: I, 2.  
91 იქვე, 9.

განჩინებაში აღნიშნავს, რომ მან განაახლა ქიზიყის ძველთაგანვე განწესებული გამოსავალი. ასევე შემოიღო ახალი გადასახადები და სადაც მოსაკლები იყო, იქ მოუკლო.<sup>92</sup> ამ განჩინების ხუთი დადგენილება ნარბევის გაყოფისა და ფანჯიაქის ალების წესებს ადგენს. ოღონდ აქ ნარბევიში მტრის ნაძარცვი ქონება არ მოიაზრება. მე-15 დადგენილებით, თუ ბატონი ან მოურავი ქიზიყში არ იქნებოდნენ და მტრის მდევრებს კაცი დააკლდებოდათ, „იმისი ნარბევი“ სოფელს უნდა გაეყო. აქ იგულისხმება იმ პირის სახლ-კარი დარბევა, რომელიც სალაშქრო საქმეს თავს აარიდებდა.<sup>93</sup> როგორც ივ. სურგულაძე აღნიშნავს, ქართლ-კახეთში მტრის, განსაკუთრებით, დაღესტნელი ფეოდალების მოულოდნელი თავდასხმების დროს, დგებოდა მტრის მადევარი რაზმები.<sup>94</sup> მდევრების ვალდებულებას მტრის მანამდე მოგერიება წარმოადგენდა, სანამ ის თავდასხმას მოახერხებდა.<sup>95</sup> საჭიროების დროს, მდევრებს ნადავლი ქონებისა და ტყვეების დასაბრუნებლად დევნა უნდა განეხორციელებინათ და თუ რაზმის რომელიმე წევრი თავს აარიდებდა ვალდებულებას, დარბევით ისჯებოდა.<sup>96</sup>

თუ ბატონი ან მოურავი ადგილზე იქნებოდნენ, ნარბევის ერთი წილის მებატონის იყო, ერთი წილის მოურავის და ერთიც – სოფლის. ლაშქრის შეკრებისას თუ ბატონს კაცი დააკლდებოდა, ნარბევიდან ორი წილი ბატონის იქნებოდა და მესამედი მოურავის (მე-16 დადგენილება).<sup>97</sup> აქაც, ალბათ, ის პრინციპი მოქმედებდა, რომ მეფეს შემოსავალი

არ უნდა დაკლებოდა. რადგან საჭირო რაოდენობის მოლაშქრეების გამოყვანა ვერ ხერხდებოდა, ამიტომ მარბეველი რაზმებიც ცოტა იქნებოდა და, შესაბამისად, ნადავლიც. ამის გამო, მეფე ფანჯიაქიდან ერთ წილის ნაცვლად ორს იღებდა. ბატონი თუ ჯარს გაგზავნიდა და თავად არ გაჰყვებოდა, მხოლოდ ფანჯიექი ეკუთვნოდა. თუ ლაშქარს ან თავად მეფე ახლდა, ან მოურავი, მაშინ ორი წილი ისევ ბატონის იყო, მესამედი კი – მოურავს.<sup>98</sup>

ამავე განჩინებით, დარბევის აღმსრულებელი მეჭურუმეა, რომელიც უშუალოდ მებატონეს ექვემდებარება: „მეჭურუმე ბატონისა უნდა იყოს. ნარბევი და ან ჯარიმა რაც გამოვა, ორი წილი ბატონისა არის და ერთი წილი მოურავისა.“<sup>99</sup>

როგორც ერეკლე მეფის ამ განჩინებიდან ჩანს, მე-18 საუკუნეში მეფის ჯარში სამსახურისთვის თავის არიდების გამო, მათი დარბევა და ნარბევის მიტაცება-დანაწილება წესად გაუხდიათ.

იოანე ბაგრატიონის „სჯულდებითაც“, მდევრობა არც სამომავლოდ უნდა მოშლილიყო ქართლსა და კახეთში.<sup>100</sup> მხოლოდ იცვლებოდა ნარბევის ალების წესი: „*ვინც ნარბევს დააკლდეს, მოურავნი ნუ მიიღებს მათ ნარბევს, არამედ მდევრის კაცმან დაუკლას საკლავი, ვის როგორ შეუძლიან და შეუსონ ღვინო შეძლებისამებრ სარბევის კაცსა*“.<sup>101</sup> პროექტის ავტორი ამსუბუქებს სასჯელს მდევრობაში მონაწილეობის არმილების გამო და მხოლოდ ჯარიმას ითვალისწინებს საკლავისა და ღვინის სახით.

რევაზ ანდრონიკაშვილს ახალი გარემოებების გათვალისწინებით, 1802 წ. განწესებით, ქიზიყის მოურავის სარგო ახლიდან შეუდგენია. აქ უკვე მოურავის სარგო უცვლელია იმის მიუხედავად, ომში ბატონთან ერთად მონაწილეობს თუ არა. როგორც საბუთიდან ჩანს, თუ ბატონიც ჯარში იქნებოდა და იქ საშოვარი მოხდებოდა, საშოვრიდან ხუთზე ერთი

92 განჩინება ერეკლე II-ისა ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ, [1744-1762 წწ.], ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II, 410.

93 იქვე, 412.

94 იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ., (1975). სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 012.

95 იქვე.

96 იქვე.

97 განჩინება ერეკლე II-ისა ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ, [1744-1762 წწ.], ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II, 412.

98 იქვე.

99 იქვე.

100 იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ., (1975). სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 5.

101 იქვე.



ფანჯიაქად უნდა აეღო ბატონს. აქედან ორი წილი ბატონისაა და მესამედი მოურავის. თუ ბატონი მოურავს ბრძოლაში გაგზავნიდა როგორც სარდალს, რასაც ჯარი იშოვიდა, მისი ფანჯიაქიდან ისევ ორი წილია ბატონის და მესამედი მოურავის (მე-7 დადგენილება). ქიზიყის ლაშქრის მიერ მოტანილი დავლიდან აღებული ფანჯიაქიდან ასევე ორი წილი ბატონს ეკუთვნის, მესამედი კი – მოურავს.<sup>102</sup>

## დასკვნა

როგორც წყაროების ანალიზით დგინდება, სამხედრო ნადავლი მეომრის პირად, მოუდე-

ვარ, სრულ საკუთრებად ითვლებოდა. ნადავლში წილი კი დამოკიდებული იყო მოლაშქრის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ძველი ქართული სამართლის წიგნები და კანონის ძალის მქონე საბუთები მკაცრად არეგულირებდნენ ომის ნადავლზე საკუთრების უფლების შეძენის წესებს. დამნარჩუნებელს უფლება ჰქონდა პირდაპირი მემკვიდრეებისათვის, ან თუ ისინი სახეზე არ იყვნენ, გვარის ნათესავებისთვის სიცოცხლეშივე შეეზღუდა „ხმლით ნაშობებზე“ მათი უფლებები და თავისი სურვილის მიხედვით განეკარგა ეს ქონება. მესაკუთრის ნების გარეშე ხმლით ნაშობები განთვისებას არ ექვემდებარებოდა.

102 ქიზიყის მოურავის სარგო შედგენილი რევაზ ანდრონიკაშვილის მიერ [1802 წ.], (1965). ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II, 560.

### ბიბლიოგრაფია:

#### წყაროები:

1. გაიუსის ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, (2011). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, (1963). ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, I
3. იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ., (1975). სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
4. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, (2002). რომის სამართლის ძეგლები. თბილისი: მერიდიანი
5. სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, (1990). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ. თბი-

### BIBLIOGRAPHY:

#### SOURCES:

1. Gaius institutions, Monuments of Roman Law, Latin Translation, preface, notes, search engine, and dictionary, were attached by N. Surguladze (2011). Tbilisi: University Press (In Georgian)
2. Justinian Institutions, Monuments of Roman Law, Latin Translation, preface, notes, and search engines were attached by N. Surguladze, (2002). Tbilisi: Meridian (In Georgian)
3. Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji (In Georgian)
4. Monument to the Eristavs (Family Chronicle of the Ksnis Eristavs), the text was published, researched, also, a dictionary and a search engine were attached by Sh. Meskhia, (1954). Materials for the Georgian and the Caucasian History. Tbilisi, Plot 30 (In Georgian)
5. Monuments of Georgian Law. Text was published, also, notes and search engines were attached to it by Is. Dolidze., (1965). Tbilisi: Science, II (In Georgian)
6. Shota Rustaveli, Vepkhistaosani, Dictionary was compiled by A. Shanidze, (1957). Tbilisi: University Publishing House (In Georgian)
7. Son of Davit – Sumbat, Bagrationians' Life, Monuments of Georgian Historical Writing. Text was prepared for publication, also, research, notes

ლისი: მეცნიერება, VIII

- ქართლის ცხოვრება. მეტრეველი რ., (მთ. რედ.), (2008). თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი
- ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, II
- ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მემატიანე), (1954). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიაშ. თბილისი: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30

#### სამეცნიერო ლიტერატურა:

- Zenker G. Th., (1866). Dictionnaire turc-arabe-persane. Leipzig
- Шавров М., (1861). О третьей книге Эздры (опыт исследования о книгах апокрифических). Санкт-Петербург
- აბულაძე, ი., (1970). ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით. თბილისი: მეცნიერება, I, ეზრა თ, 4, მეცნიერება
- ანდრონიკაშვილი მ., (1965). არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105
- ანთელავა ილ., (1980). XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბილისი: განათლება
- ანჩაბაძე, გ., (2010). საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე). თბილისი: ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- თოფჩიშვილი, რ., (2007). კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბილისი: უნივერსალი
- ლომიძე, ვ., საკუთრების უფლების შექმნის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შექმნილი ხანდაზმულობა), დისერტაცია, 2004, 25-27. <[https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail\\_record\\_view=0;qtype=item\\_barcode;query=900001466257;locg=1](https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1)> [ბოლო წვდომა 17.05.2022]
- მესხია, შ., (1948). მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ. თბილისი: I
- სილოგავა ვ., (1981). დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/1124 წწ.). მრავალთავი: ფილოსოფიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. 9
- ქურციკიძე, ც., (1971). ეზრას აპოკალიფსისის ქართული რედაქციები, მრავალთავი, ფილოსოფიურ-ისტორიული ძიებანი. თბილისი: მეცნიერება
- ღლონტი, ა., (1974). კილო-თქმათა სიტყვის

and search engines were attached by G. Arakhamia, (1990). Tbilisi: Science, VIII (In Georgian)

- Vakhtang VI Law Books Collection, Monuments of Georgian Law. The text was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze (1963). Tbilisi: Science, I (In Georgian)

#### SCIENTIFIC LITERATURE:

- Zenker G. Th., (1866). Turkish-Arabic-Persian dictionary. Leipzig (In German)
- Shavrov M., (1861). About the third book Эздры (see research on the books of the Apocrypha). St. Petersburg. (In Georgian).
- Abuladze, I., (1970). Georgian versions of the Old Testament apocrypha, X-XVIII centuries. According to the manuscripts. Tbilisi: Science, I, Ezra T, 4, Science. (In Georgian).
- Andronikashvili M., (1965). On the entry of Arabic words into Georgian through Persian. Proceedings of Tbilisi State University, Vol. 105. (In Georgian).
- Antelava Il., (1980). Issues of socio-political history of Georgia in XI-XV centuries. Tbilisi: Education. (In Georgian).
- Anchabadze, G., (2010). Issues of military history of Georgia (before 1921). Tbilisi: Ilia State University Publishing House. (In Georgian).
- Topchishvili, R., (2007). Ethnography of the peoples of the Caucasus, ethnic history, ethnic culture. Tbilisi: Wagon. (In Georgian).
- Lomidze, V., Sources of Acquisition of Property Rights in Georgian Law (Treasure, Found, Acquired Limitation), Dissertation, 2004, 25-27. <[https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail\\_record\\_view=0;qtype=item\\_barcode;query=900001466257;locg=1](https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1)> [Last accessed 17.05.2022] (In Georgian).
- Meskhia, Sh., (1948). Materials about the official formation of the Kingdom of Kartli-Kakheti. Tbilisi: I. (In Georgian).
- Silogava V., (1981). Will of David the Builder to Shiomghvimi (1123/1124). Multi-chapter: Philosophical-Historical Researches, Vol. 9. (In Georgian).
- Kurtsikidze, Ts., (1971). Georgian editions of Ezra's apocalypse, many chapters, philological-historical researches. Tbilisi: Science. (In Georgian)
- Glonti, A., (1974). Kilo-words of speech. Tbilisi: Education, Vol. 1, 2, Education. (In Georgian)
- Shota Rustaveli, panther-skinned, compiled by A. Shanidze, (1957). Tbilisi: Tbilisi University Publishing House. (In Georgian)
- Tsagareishvili, E., (1971). Armenian sources on

კონა. თბილისი: განათლება, წ. 1, 2, განათლება

13. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ლექსიკონი შეადგინა ა. შანიძემ, (1957). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
14. ცაგარეიშვილი, ე., (1971). სომხური წყაროები არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება
15. ხუბუა მ., (1940). ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე (1899-1939). თბილისი: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI
16. ჯავახიშვილი ი., (1984). თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტომი VII

### ლექსიკონები:

1. Бартошек, М., (1989). Римское право, понятия, термины, определения. Москва: Юридическая литература
2. აბულაძე ი., (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: მეცნიერება
3. მელიქსეთ-ბეგი, ლ., (1996). სომხურ-ქართული ლექსიკონი გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მ. რობაქიძემ. თბილისი: ნეკერი
4. ნეიმანი ა., (1978). ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი
5. სულხან-საბა ორბელიანი, (1949). სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი. ს. იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ჩიქობავა ა. (რედ.), (1986). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ერთტომეული
7. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, მეტრეველი. რ. (რედ) (2011). თბილისი: მერიდიანი
8. ჩუბინაშვილი ნ., (1962). ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანიურთ, სისტემისაებრ სულხან-საბა ორბელიანისა, თბილისი: განათლება

Arab-Georgian relations. Multi-chapter: Philological-historical research, science. (In Georgian)

15. Khubua M., (1940). From Georgian-Iranian relations, to Academician Ivane Javakhishvili on the 40th anniversary of his scientific activity (1899-1939). Tbilisi: Acad. 6. Bulletin of the Mari Institute of Language, History and Material Culture, V-VI. (In Georgian)
16. Javakhishvili I., (1984). Essays in twelve volumes. Tbilisi: Tbilisi University Press, Volume VII. (In Georgian)

### DICTIONARIES:

1. Bartoshek, M., (1989). Roman law, concepts, terms, definitions. Moscow: Juridical literature (In Russian).
2. Abuladze, I., (1973). Dictionary of the Old Georgian Language (materials). Tbilisi: Science (In Georgian)
3. Melikset-Begi, L., (1996). Armenian-Georgian dictionary, that was processed, filled and prepared for publication by M. Robakidze. Tbilisi: Nekeri (In Georgian)
4. Neiman A., (1978). Dictionary of Georgian Synonyms. Tbilisi (In Georgian)
5. Sulkhan-Saba Orbeliani, Georgian Words Dictionary, which is edited and foreworded by S. Iordanashvili, (1949). Tbilisi: State Publishing House of the Georgian SSR (In Georgian)
6. Explanatory Dictionary of the Georgian Language, edited by A. Chikobava., (1986). Tbilisi: Sciences Academy of the Georgian SSR, Linguistics Institute, Georgian Soviet Encyclopedia, one-volume (In Georgian)
7. Ethnographic Dictionary of Georgian Material Culture, Metreveli. R. (Ed.) (2011). Tbilisi, Meridian, Tbilisi (In Georgian)
8. Chubinashvili N., (1961). Georgian Dictionary with Russian Translation, by the system of Sulkhan-Saba Orbeliani, Al. Glonti (Ed.) Tbilisi (In Georgian)



---

---

## NOTES:

1. Gaius institutions, Monuments of Roman Law. Latin Translation, preface, notes, search engine, and dictionary, were attached by N. Surguladze, (2011). Tbilisi: University Press, 70; Justinian Institutions, Monuments of Roman Law. Latin Translation, preface, notes, and search engines were attached by N. Surguladze, (2002). Tbilisi: Meridian, Tbilisi, 56.
2. Bartoshek, M., (1989). Roman law, concepts, terms, definitions. Moscow: Juridical literature, 213.
3. Monument to the Eristavs (Family Chronicle of the Ksnis Eristavs), (1954). The text was published, researched, also, a dictionary and a search engine were attached by Sh. Meskhia. Tbilisi: Materials for the Georgian and the Caucasian History, Plot 30.
4. Abuladze, I., (1973). "Dictionary of the Old Georgian Language" (materials). Tbilisi: Science.
5. In the old Georgian language, there are a lot of non-basic terms denoting booty and words synonymous with them, so we considered it inappropriate to discuss them all.
6. Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 505.
7. Sulkhan-Saba Orbeliani, (1949). Georgian Words Dictionary, which is edited and foreworded by S. Iordanashvili. Tbilisi: State Publishing House of the Georgian SSR, 23.
8. Chubinashvili N., (1961). Georgian Dictionary with Russian Translation, by the system of Sulkhan-Saba Orbeliani.
9. Explanatory Dictionary of the Georgian Language, edited by A. Chikobava, (1986). Tbilisi: Sciences Academy of the Georgian SSR, Linguistics Institute, Georgian Soviet Encyclopedia, one-volume, 23.
10. Andronikashvili M., (1965). On the Entry of Arabic Words into Georgian language through Persia. Tbilisi: Proceedings of Tbilisi State University, Vol. 105, 310. See: Zenker G. Th., (1866). Dictionnaire turc-arabe-persane. Leipzig, 84.
11. Janashvili M., (1910). My Notes Around Rustaveli, Description, Texts, Dictionary, Electronic Print of S. M. Losaberidze. Tiflisi: XIV, 12
12. Juanshery, Life of Vakhtang Gorgasali. Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 505.
13. Sulkhan-Saba Orbeliani, (1949). Georgian Words Dictionary, which is edited and foreworded by S. Iordanashvili. Tbilisi: State Publishing House of the Georgian SSR, 254.
14. Ibid.
15. Chubinashvili N., (1961). Georgian Dictionary with Russian Translation, by the system of Sulkhan-Saba Orbeliani.
16. Ibid.
17. Ibid.
18. Abuladze, I., (1970). "Dictionary of the Old Georgian Language" (materials). Tbilisi: Science.
19. Juanshery, Life of Vakhtang Gorgasali. Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 169.
20. Matiane of Kartli, Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 169.
21. Leonty Mroveli, Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 59.
22. Ibid.
23. Juanshery, Life of Vakhtang Gorgasali. Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 171.
24. Anchabadze, G., (2010). Military History Issues of Georgia (before 1921). Tbilisi:

- Ilia State University, 93.
25. Monuments of Georgian Law, (1965). Text was published, also, notes and search engines were attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, II, 115.
  26. Neiman A., (1978). Dictionary of Georgian Synonyms. Tbilisi, 559.
  27. Chubinashvili N., (1961). Georgian Dictionary with Russian Translation, by the system of Sul Khan-Saba Orbeliani.
  28. Abuladze, I., 1970. "Georgian versions of the Old Testament Apocrypha". Tbilisi: Science, I, 439.
  29. Topchishvili, R., (2007). The Caucasian Peoples Ethnography, Ethnic History, Ethnic Culture. Tbilisi: Universal, 86.
  30. Ibid.
  31. Kurtsikidze, Ts., (1971). Georgian editions of Ezra's apocalypse, Multi-chapter, philological and historical researches. Tbilisi: Science, 95. M. Shavrov, (1861). On the third book of Ezdra (an experience of research on apocryphal books). St. Petersburg, 56.
  32. Melikset-Begi, (1996). I. Armenian-Georgian dictionary, that was processed, filled and prepared for publication by M. Robakidze. Tbilisi: Nekeri.
  33. Silogava V., (1981). The Will of David the Builder to Shiomghvimi (1123/1124 years). Tbilisi: Multi-chapter: Philosophical and Historical Researches, Vol. 9, 97.
  34. Son of Davit – Sumbat, Bagratonians' Life, Monuments of Georgian Historical Writing, (1990). Text was prepared for publication, also, research, notes and search engines were attached by Goneli Arakhamia. Tbilisi: Science, VIII, 56.
  35. Mateane of Kartli, Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 281.
  36. Lomidze, V., (2004). Sources of Acquisition of Property Rights in Georgian Law (Treasure, found, acquired limitation), Tbilisi, 25-27. [https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;\\_special=1;detail\\_record\\_view=0;q-type=item\\_barcode=query=900001466257;locq=1](https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;_special=1;detail_record_view=0;q-type=item_barcode=query=900001466257;locq=1) [Last seen: 17.05.2022]
  37. Melikset-Begi, (1996). I. Armenian-Georgian dictionary, that was processed, filled and prepared for publication by M. Robakidze. Tbilisi: Nekeri.
  38. Abuladze, I., (1970). "Dictionary of the Old Georgian Language" (materials). Tbilisi: Science.
  39. Explanatory Dictionary of the Georgian Language, edited by A. Chikobava, (1986). Tbilisi: Sciences Academy of the Georgian SSR, Linguistics Institute, Georgian Soviet Encyclopedia, one-volume, 126, 143.
  40. Metreveli. R. (Ed.), (2011). Ethnographic Dictionary of Georgian Material Culture. Tbilisi: Meridian, Tbilisi, 2011.
  41. Mateane of Kartli, Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 289.
  42. Chronicler, "Century Chronicle", Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 623.
  43. Andronikashvili M., (1965). On the Entry of Arabic Words into Georgian language through Persia. Tbilisi: Proceedings of Tbilisi State University, Vol. 105, 310.
  44. Shota Rustaveli, Vepkhistaosani, Dictionary was compiled by A. Shanidze, (1957). Tbilisi: University Publishing House, 349.
  45. Explanatory Dictionary of the Georgian Language, edited by A. Chikobava, (1986). Tbilisi: Sciences Academy of the Georgian SSR, Linguistics Institute, Georgian Soviet Encyclopedia, one-volume, 349.
  46. Glonti, A., (1974). Kilo-Sayings word cone. Tbilisi, Education, Book 1, 2.
  47. Javakhishvili Iv., (1984). Essays in Twelve Volumes. Tbilisi: Tbilisi University Press, Tbilisi, Volume VII, 291. Bartoshek, M., (1989). Roman law, concepts, terms, definitions. Moscow: Juridical literature, 274.
  48. Javakhishvili Iv., (1984). Essays in Twelve Volumes. Tbilisi: Tbilisi University Press, Tbilisi, Volume VII, 291.
  49. Monuments of Georgian Law, (1965). Text was published, also, notes and search engines were attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, II, 20.

50. Javakhishvili Iv., (1984). Essays in Twelve Volumes. Tbilisi: Tbilisi University Press, Tbilisi, Volume VII, 291.
51. Ibid.
52. Khubua M., (1940). From Georgia-Iran relations, to Academician Ivane Javakhishvili on the 40th anniversary of his scientific activity (1899-1939). Tbilisi: Enimkes Moambe named after Acad. N. Marie, V-VI, 241.
53. Chubinashvili N., (1961). Georgian Dictionary with Russian Translation, by the system of Sulkhan-Saba Orbeliani. Andronikashvili M., (1965). On the Entry of Arabic Words into Georgian language through Persia. Tbilisi: Proceedings of Tbilisi State University, Vol. 105, 306.
54. Javakhishvili Iv., (1984). Essays in Twelve Volumes. Tbilisi: Tbilisi University Press, Tbilisi, Volume VII, 291.
55. There is a mistake in the text of Abuletidze's book of donations quoted by Javakhishvili. Instead of the word "მ რმ" it is written "ელო elite" nashebi. While working on the article, the scientist had T. Historical documents of Shiomkhvimi, published by Zhordania in 1896, which included the text of this document, written with the help of "მ რმ". The text of the same edition was used by I. Dolidze while working on the II volume of "Legal Monuments of Georgia".
56. Monuments of Georgian Law, (1965). Text was published, also, notes and search engines were attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, II, 70.
57. Ibid.
58. Ibid, 71.
59. Ibid.
60. Monuments of Georgian Law, (1965). Text was published, also, notes and search engines were attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, II, 20.
61. Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 337.
62. Ibid.
63. Antelava, Il., 1980. Socio-Political History Issues of Georgia in XI-XV Centuries. Tbilisi: Lighting, 1980, 13.
64. Leonty Mroveli, Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 59.
65. Basily Ezosmodzgvani, Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 492.
66. Tsagareishvili, E., (1971). Armenian Sources on Arab-Georgian Relations. Tbilisi: Multi-chapter, Philological and Historical Researches, Science, 483.
67. Basily Ezosmodzgvani, Life of Kartli, Metreveli R. (Entirely ed.), (2008). Tbilisi: Meridian, Artanuji, 493.
68. Ibid.
69. Ibid.
70. Vakhtang VI Law Books Collection, Monuments of Georgian Law, (1963). The text was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, I,386.
71. Ibid, 387.
72. Ibid.
73. Ibid, 388.
74. Vakhtang VI Law Books Collection, Monuments of Georgian Law, (1963). The text was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, I,525.
75. Chubinashvili N.,(1984). Georgian Dictionary with Russian Translation. Tbilisi: Soviet Georgia.
76. Vakhtang VI Law Books Collection, Monuments of Georgian Law, (1963). The text was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, I,525.
77. Ibid.
78. Ibid, 668.
79. Vakhtang VI Law Books Collection, Monuments of Georgian Law, (1963). The text



- was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, I,653.
80. Ibid, 434.
  81. Ibid, 546.
  82. Ibid, 766.
  83. Meskhia Sh., (1948). Materials on the Kartl-Kakheti Kingdom official formation. Tbilisi: I, 85.
  84. Ibid.
  85. Ibid, 86.
  86. Monuments of Georgian Law, (1965). The text was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, II,363.
  87. Ibid, 385.
  88. Ibid.
  89. Meskhia Sh., (1948). Materials on the Kartl-Kakheti Kingdom official formation. Tbilisi: I, 2.
  90. Ibid.
  91. Ibid, 9.
  92. Monuments of Georgian Law, (1965). The text was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, II, 410.
  93. Ibid, 412.
  94. Ioann Bagrationi, Sjuldeba (Project of State Reform of Kartli-Kakheti). Introduction, dictionary and search engines added I. Surguladze., (1975).Tbilisi: Publishing house of Tbilisi State University named after Stalin, 012.
  95. Ibid.
  96. Ibid.
  97. Monuments of Georgian Law, (1965). The text was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, II, 412.
  98. Ibid.
  99. Ibid.
  100. Ioann Bagrationi, Sjuldeba (Project of State Reform of Kartli-Kakheti). Introduction, dictionary and search engines added I. Surguladze., (1975).Tbilisi: Publishing house of Tbilisi State University named after Stalin, 5.
  101. Ibid.
  102. Monuments of Georgian Law, (1965). The text was published, researched, and a dictionary was attached to it by Is. Dolidze. Tbilisi: Science, II, 560.